თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

30.07.2019
N 4210

მოქალქე ვლადიმერ გეთიაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სს „საქართველოს რკინიგზა“-ში განხილული იქნა თქვენი 2019 წლის 3 ივლისის განცხადება თანდართული დოკუმენტაციით (კანცელარიის რეგისტრაციის № 359, 03.07.2019 წ.), სადაც ითხოვთ, ქ. თბილისში, ქინძმარაულის II შეს. №4-ში მდებარე, 01.19.34.003.095 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობაზე რკინიგზის პოზიციის დაფიქსირებას.

ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სს „საქართველოს რკინიგზა“ არ არის წინააღმდეგი, 01.19.34.003.095 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განახორციელოთ მშენებლობა, ვინაიდან აღნიშნულ მიწის ფართზე ინფრასტრუქტურის მეურნეობების ბალანსზე რიცხული რაიმე აქტივები ან მიწისზედა და მიწის ქვეშ არსებული კომუნიკაციები განლაგებული არ არის. საპროექტო ნახაზზე მითითებული პარამეტრების (ზომების) და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, სს „საქართველოს რკინიგზა“-ს ფუნქციონირებას ხელს არ შეუშლის.

ასევე დამატებით გაცნობებთ, რომ თქვენი მიწის ნაკვეთის, ლიანდაგის მხარეს მდებარე საზღვართან ახლოს, განლაგებულია სს „საქართველოს რკინიგზა“-ს სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების (სცბ) დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს და საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სააგენტოს (სსტს) თბილისის კვანძის, ბალანსებზე რიცხული, მიწის ქვეშ არსებული მაგისტრალური კაბელები. შესაბამისად ამ ადგილებში, ნებისმიერი მიწის სამუშაოების წარმოების დაწყებამდე, კომუნიკაციების ადგილმდებარეობა უნდა დაზუსტდეს შესაბამის სამმართველოებთან, ხოლო სამუშაოების წარმოებისას აუცილებელია მათი პასუხისმგებელი პირების დასწრება.

ინფრასტრუქტურის დირექტორი
ვასილ ხორავა